

თბილისის უნივერსიტეტის უროვები

Труды Тбилисского государственного университета
им. Ив. Джавахишвили

PROCEEDINGS OF IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

339 (2)

ISSN 1512-1496

დასავლეთი ევროპის ენები და ლიტერატურა

Западноевропейские языки и литература

Western European Languages and
Literature



TRUDY ANGLIJSKOGO GOUDARSTVENNOGO UNIVERSITETA
IM. N.S. DJAVAHISHVILI
PROCEEDINGS OF THE JAVAKHISHVILI Tbilisi STATE UNIVERSITY

(2) 188

ЗАПАДНОЕВРОПЕЙСКИЕ ЯЗЫКИ И
ЛИТЕРАТУРА
WESTERN EUROPEAN LANGUAGES AND
LITERATURE



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского университета
Tbilisi University Press

2001

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ
PROCEEDINGS OF IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
339 (2)

ЗАПАДНОЕВРОПЕЙСКИЕ ЯЗЫКИ И
ЛИТЕРАТУРА
WESTERN EUROPEAN LANGUAGES AND
LITERATURE

Тбилиси - Tbilisi
2001



ც. ახვლედიანი, ზ. გაჩეჩილაძე, რ. ენუქიძე, ნ. კაკაბაძე, ა. კარტოზია, თ. კობახიძე, ლ. ლორია, მ. პაიჭაძე (რედაქტორი), მ. რუსეიშვილი (მდივანი), ნ. საყვარელიძე, დ. ფანჯიკიძე, ი. ფსაკაძე, გ. ყუფარაძე, ზ. ჭარხალაშვილი, მ. ხაჭაპურიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Ц.Ахвледяни, З.Гачечиладзе, Н.Какабадзе, А.Картозия, Т.Кобахидзе, Г.Купарадзе, Л.Лория, М.Пайчадзе (редактор), Д.Панджикидзе, И.Пхакадзе, М.Русеишвили (секретарь), Н.Сакварелидзе, М.Хачапуридзе, З.Чархалашвили, Р.Энукидзе

EDITORIAL BOARD

Ts. Akhvlediani, R. Enukidze, Z. Gachechiladze, Z. Charkchalashvili, N. Kakabadze, A. Kartozia, T. Kobachidze, M. Kchachapuridze, G. Khuparadze, L. Loria, M. Paichadze (Editor), D. Panjikidze, U. Pchakadze, M. Ruseishvili (Secretary), N. Sakvarelidze

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

დ 4602020100
608(06)-01

ფატიკური ფუნქციის როლი საკომუნიკაციო არხის იფექტურობაში

თითოეული საკომუნიკაციო აქტი ემსახურება რაღაც გარკვეულ მიზანს. სულ ერთია, ვიყენებთ ვერბალურ კოდსა თუ არავერბალურს, კომუნიკაციის დასამყარებლად ყოველთვის რაღაც გარკვეული მოთხოვნილება გვკითხვს. ეს შეიძლება იყოს სურვილი, იმპულსი სხვებთან, სხვა ინდივიდებთან საკომუნიკაციო აქტის დამყარებისათვის. იმპულსი ბადებს განზრახვას, რომ გავოვხატოთ ჩვენი აზრი საკომუნიკაციო აქტის საშუალებით, რომელიც გარკვეულ მიზანს შეიცავს.

ასეთი თვალსაზრისი ვარგისია ნებისმიერი კოდისათვის და, განსაკუთრებით, ლინგვისტური კოდისათვის. ისევე, როგორც უსაზღვროა საკომუნიკაციო აქტის იმპულსები და მიზნები, ასევე უსაზღვროა კომუნიკაციის გადაცემის ლინგვისტური საშუალებანი. მიუხედავად მესაჯის (შეტყობინების) უსასრულო მრავალფეროვნებისა, შესაძლებელი ხდება მათი კლასიფიცირება გარკვეულ ჯგუფებად მიზნის საერთოობის მიხედვით.

ამ მოსაზრების საყრდენი ბაზისი ის არის, რომ, როდესაც გარკვეული მიზნისა და დანიშნულების საკომუნიკაციო აქტს ვახორციელებთ, ყოველთვის ვითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს:


- ჩვენი პიროვნება;
- ჩვენი მსმენელი;
- მესაჯის (შეტყობინების) შემადგენლობა;
- მესაჯის (შეტყობინების) გამოყენების საშუალება;
- ობიექტი, რომელსაც მესაჯი შეეხება.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აჭარბებს ჩვენი მესაჯი ამ ელემენტთა მოთხოვნილებებს, იცვლება ლინგვისტური კოდის დატვირთვა, ანუ ხდება ლინგვისტური კოდის ფუნქციითა ცვალებადობა. როგორც ცნობილია, ფუნქცია წარმოადგენს ლინგვისტური კოდის გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულებით, რაც გამოწვეულია საკომუნიკაციო აქტის მიზნით.

მრავალი სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერი გამოპყოფს ენის ფუნქციის სხვადასხვა ტიპს. მაგრამ ცოტა მათგანი თუ მიიჩნევს ფატიკურს — როგორც ენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას. ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ იგნორირებას უკეთებს ამ უკანასკნელს.

იტალიელი მეცნიერები ჯან კარლო ოლი, გაეტანო დე ბერნარდისი და ანდრეა სორჩი იმ ენათმეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებსაც ფატიკური ფუნქცია ენის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად მიაჩნიათ.

ეს უკანასკნელნი რომან იაკობსონის მიერ შემუშავებულ საკომუნიკაციო პროცესის ფუნქციონირების ერთ-ერთ მოდელს ემყარებიან და აღნიშნავენ, რომ კომუნიკაციის თითოეული ძირითადი ელემენტი (მთქმელი, მსმენელი, არხი, კოდი, მესაჯი, ანუ შეტყობინება, ობიექტი, ანუ რეფერენტი) ნათლად მიგვითითებს ენის შესაბამის ფუნქციებზე. „ყოველთვის, როცა მესაჯის (შეტყობინების) ფორმულირებას ვახორციელებთ, მეტ-ნაკლებად მივაკუთვნებთ მას ზემოთ ჩამოთვლილ ექვს ელემენტს, ფუნქციების მიხედვით“ – აღნიშნავენ ისინი და გვთავაზობენ შემდეგი სახის სქემას:



სქემის მიხედვით, მესაჯის ფორმულირებას ვიყენებთ:

1. ემოციურ ფუნქციას, რომელიც გამოხატავს მთქმელის აზრებსა და შეხედულებებს, მის სულიერ მდგომარეობას, მის გრძნობებსა და ემოციებს.

2. კონატიურ ფუნქციას, როდესაც მესაჯი ორიენტირებულია მსმენელზე, რომელიც გამოხატავს მსმენელის დარწმუნებას, დაყოლიებას, გადაბირებას ან ისეთ აქტს, რომელიც შეეხება მოწვევას ან ბრძანებას.

3. ფატიკურ ფუნქციას, რომელსაც ვიყენებთ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მესაჯი იხრება საკომუნიკაციო აქტის არხის ან საშუალების გადასინჯვისაკენ, ან მისი ვარგისიანობის შემოწმებისაკენ.

4. მეტალინგვისტურ ფუნქციას, როდესაც მესაჯი მიზნად ისახავს იმ კოდის (ანუ ენის) ხმარებას, რომელსაც იგი თავად იყენებს.

5. რეფერენციალურ ფუნქციას, როდესაც საკომუნიკაციო აქტში აქცენტი და ყურადღება კონცენტრირდება რეფერენტზე, ანუ მასზე, ვისკენაცაა მიმართული მესაჯი; ასეთ შემთხვევაში, მთქმელი მიზნად ისახავს მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას სხვა ფუნქციების მოშველიების გარეშე.

6. პოეტურ ფუნქციას, როდესაც ლინგვისტური აქტი უპირატესად მესაჯზე არის კონცენტრირებული, რომელშიც მესაჯის ფორმალური სახე არის გამოკვეთილი.

როგორც დავინახეთ, ფატიკურ ფუნქციას სხვა დანარჩენებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საინტერესო ისაა, რომ იტალიელ ლინგვისტთა კონცეფცია ფატიკური ფუნქციის შესახებ საგრძნობლად განსხვავებული და რადიკალურია იმ მოსაზრებისაგან, რომელიც „ფატიკური ფუნქციის“ ტერმინის პირველმა „ნათლიმამამ“ – ანთროპოლოგმა ბრონისლავ მალინოვსკიმ ჩამოაყალიბა.

თუმცა, არც ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები უარყოფენ ბრონისლავ მალინოვსკის კონცეფციას, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ფატიკური ფუნქცია საკომუნიკაციო არხის გადასინჯვასა და მის ვარგისიანობაში დარწმუნებას ემსახურება, ჩვენი აზრით, სწორედ რომ ახალი კუთხით დაგვანახებს ენის ამ ფუნქციის რეალიზაციას.

ავტორთა აზრით, თუ მესაჯი (შეტყობინება) ემსახურება საკომუნიკაციო არხის ვარგისიანობისა და ფუნქციონირების გადამოწმებას და მსმენელის მზადყოფნას ჩაერთოს საუბარში, ხდება ფატიკური ფუნქციის რეალიზაცია, რომელსაც სხვაგვარად კონტაქტური, ანუ საკონტაქტო ფუნქციაც ეწოდება.

პოლონელი მეცნიერის ბრონისლავ მალინოვსკის აზრით, სიტყვა „ფატიკური“ ბერძნულიდან მომდინარეობს (phatos – სალაპარაკო, phanai – ლაპარაკი). თუმცა, იტალიელ მეცნიერთა აზრით, ზედსართავი სახელი „ფატიკური“ ლათინური წარმოშობისაა და მომდინარეობს ზმნიდან fari, რაც ნიშნავს „ლაპარაკს“, მართლაც, თავად ფატიკური ფუნქციაც გულისხმობს ლაპარაკის შესაძლებლობას და ზოგადად კომუნიკაციას.

ლინგვისტურ აქტში ფატიკური ფუნქცია ახასიათებს კითხვით ფორმებს –

Pronto? (სატელეფონო საუბრისას); come dici?; che cosa dici?; mi senti?; mi ascoltate?; avete capito?; capisci?; come?; allora? და სხვა მრავალი, რომელიც მრავალფეროვნად ვარიაციულია გარემოებითი შემთხვევების გათვალისწინებით. ფატიკური გამონათქვამები გამოიყენება, ავტორთა აზრით, აგრეთვე, შორისდებულებსა და შეძახილებში: Aime; bene; Appunto; Certo და ა.შ. სტერეოტიპულ გამოთქმებში, როგორებიცაა: tutto bene?; tutto a posto?; come va?; qualche problema? და სხვანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები არ უარყოფენ სხვა ენათმეცნიერთა შორის ზოგადგავრცელებულ აზრს ენის ფატიკური ფუნქციის შესახებ და აღნიშნავენ, რომ ფატიკური საკომუნიკაციო აქტი ხშირ შემთხვევაში სრულდება მეტ-ნაკლებად გაუცნობიერებლად. ენის ყოველდღიურ ხმარებაში ეს უკანასკნელი, მართლაც, რომ ამომწურავი რაოდენობით გვხვდება ჩვეულებრივ საუბარში, და კი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ საკომუნიკაციო არხის უბრალო შემოწმებით, არამედ შეიცავს, აგრეთვე, ყველა იმ მესაჯს, რომელსაც არც თუ ისე იშვიათად ვიყენებთ ხოლმე მდორე, შენელებული საუბრის პაუზების შესავსებად, ისე რომ, ზოგჯერ, თავად მესაჯი შეიძლება სულაც არ შეიცავდეს ნამდვილ და აუცილებელ შინაარსს. მაგალითად, როდესაც რომელიმე დაწესებულების სარკმელთან რიგში ვდგავართ, დროის მოგებისა და თანამომლოდინეებთან კონტაქტში შესვლის მიზნით, გვიწევს ხოლმე შემდეგი ფრაზების წამოსროლა: Quanta gente!; che fila!; che confusione!; Esemprè così! Non se ne può più!; Quanto tempo! და სხვა მსგავსი გამოთქმებისა, რომლებიც სინამდვილეში არავითარი განსაკუთრებული აზრის გადაცემას არ ემსახურება.

იგივეს თქმა შეიძლება მისასალმებელი და თავაზიანი გამოთქმების გამოყენების შემთხვევაშიც, როგორებიცაა მაგალითად: ciao! 'Buon giorno!' Saluti a casa', რომლებიც მიზნად ისახავს საკომუნიკაციო ურთიერთობების დაწყებას და დამთავრებას, გადასცემენ რა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მსმენელს ან თანამოსაუბრეს თავიანთ კეთილ განზრახვასა და კეთილგანწყობილებას და გამოხატავენ მზადყოფნას, რომ ამ უკანასკნელმაც მთქმელთან ერთად დაიწყოს ან დაასრულოს საკომუნიკაციო აქტი.

ამ ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე შემდეგი სახის გარემოებითი გამოთქმები (frasi di circostanza), რომლებსაც სხვადასხვა შემთხვევასა და გარემოებაში ვიყენებთ ხოლმე: che noia, vero? comincia a far caldo; l'estate si avvicina; c'è un bel traffico questa mattina, en! და სხვა ამაღვარი: Eccoci qua; ci siamo?; ma no; davvero? და ა.შ.

ხშირად, ჩვენს თანამოსაუბრეებთან ლაპარაკისას, ვიყენებთ და ეუროთავთ საუბარში ისეთი სახის „ჩართულებს“ (intercalari), როგორებიცაა: „va bene?“; è chiaro? „O Key“ და სხვანი, რომლებიც მიზნად ისახავენ, რომ შევამოწმოთ და დავრწმუნდეთ საკომუნიკაციო აქტში მსმენელის მზადყოფნასა და სიამოვნებით მონაწილეობაზე.

ფატიკური კომუნიკაციის მაგალითები ხშირად გვხვდება აგრეთვე სალიტერატურო ტექსტებშიც, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მოიცავენ დიალოგებს და ემსახურებიან ამ დიალოგების შევსებასა და გამდიდრებას, მათ გამოცოცხლებას და ხშირად ფრაზების გახატოვნებას. უფრო ხშირად, ფატიკურ გამონათქვამებს ვხვდებით თეატრალურ ტექსტებში. მსგავსი გამონათქვამებით მდიდარია პირანდელოსეული და მრავალი სხვა იტალიელი დრამატურგის შემოქმედება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იტალიელ ლინგვისტთა აზრით, „ჩართულების“ გამოყენება ენის ფატიკურ ფუნქციაში შედის და ემსახურება საკომუნიკაციო შემოწმებასა და ეფექტურობის დამტკიცებას.

ტერმინი „intercalare“ მომდინარეობს ლათინურიდან „intercalaris“, რომელსაც, თავის დროზე, გააჩნდა შემდეგი შემადგენლობა (inter – in mezzo + calare – chiamare). მაშასადამე, intercalare ნიშნავს „სიტყვას“, რომელიც სხვა სიტყვებს შორის ან შუაშია ჩართული.

თუმცა, „ჩართული სიტყვების“ გამოყენება ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში ძალიან ხშირი და მიღებულია საკომუნიკაციო აქტის წარმატებით წარმართვისათვის, მაგრამ ხშირად, მოსაბეზრებელიცაა სხვა მსმენელისათვის (მაგალითად, სატელეფონო საუბრისას ყოველწამიერი გამეორება შემდეგი სახის სიტყვებისა: *é vero?; appunto; cioe* და ა.შ.).

„ჩართული სიტყვების“ ასეთი ხშირი გამოყენება მაინც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი ავსებენ საუბარში ამოვარდნილ პაუზებს და საჭიროც კი არის საუბრისას, რათა მთქმელმა დრო მოიგოს იმისათვის, რომ ადვილად იპოვოს ზუსტი აზრი და პასუხი შესაფერი სიტყვებით ჩამოაყალიბოს.

მაგრამ, მაინც უმჯობესი იქნებოდა, თავი აგვერიდებინა მათი ხშირი გამოყენებისათვის, რადგან ზოგჯერ „ჩართული სიტყვები“ ხელსაც კი უშლიან ხოლმე საკომუნიკაციო აქტის წარმატებით წარმართვას, რამეთუ ხშირად აბნევენ და ყურადღებას უფანტავენ მსმენელს.

ლიტერატურა

1. G. Carlo Oli, G. De Bernardis, A. Sorci – *Theoria e pratica della comunicazione*. Le Monnier, 1998, Milano.
2. Якобсон Р., *Избранные работы*. Москва, „Прогресс“, 1985.
3. Якобсон Р., *Работы по поэтике*. Москва, „Прогресс“, 1987.
4. ლ. გოგსაძე, ი. დემეტრაძე. „ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.